საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/41

ქ. ბათუმი 17 მარტი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის № 17 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის **„ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება"** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის №01-02/59 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის "ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" სწავლის საფასურისა და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 13 მარტის №01-10/35 ბრძანების, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის ნინო ველთაურის 2023 წლის 13 თებერვლის წერილის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორის ასისტ. პროფ. მამუკა გოგელიას 2023 წლის 15 მარტის №298049 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულების პროფესიული გადამზადების პროგრამის **„ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება"** (საკონტაქტო 60 და არასაკონტაქტო **30 საათი) პირველადი ხარჯთაღრიცხვა (8 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფზე) დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,

ასოცირებული პროფესორი *მ. დიასამიძე*

,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის .....19..... მარტის № 01-10/41.... ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროფესიული გადამზადების პროგრამის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" პირველადი ხარჯთაღრიცხვა (8 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფზე)

1.	**შემოსავლები**	
1.1.	მსმენელთა რაოდენობა	8
1.2.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე	1000 ლარი
1.3.	**სულ შემოსავალი 8 მსმენელზე (4 კვირა, 60 საკონტაქტო საათი)**	8000 ლარი
2.	**ხარჯები**	
2.1.	**პროგრამის განხორციელების ხარჯები**	4500 ლარი
2.1.1.	პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის:	
2.1.2.	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება - (60სთX50ლ)	3000 ლარი
2.1.3.	დამხმარე პერსონალის (ასისტ. სასწავლო პროცესის მენეჯმენტის მიმართულებით) შრომის ანაზღაურება	750 ლარი
2.1.4.	დამხმარე პერსონალის (ასისტ. სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებში) შრომის ანაზღაურება	750 ლარი
2.2.	**ზედნადები ხარჯები**	3500 ლარი
2.2.1	მათ შორის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა ნედლეულის ხარჯი	300 ლარი

შენიშვნა 1: ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებისათვის გამოყენებულია შემდეგი მონაცემები:

	პერსონალი	სამუშაო დატვირთვა (საათი)	1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)	შრომის ანაზღაურება სულ (ლარი)
1.	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	60	50	3000
2.	დამხმარე პერსონალი (ასისტ. სასწავლო პროცესის მენეჯმენტის მიმართულებით)	15	50	750
3.	დამხმარე პერსონალი (ასისტ. სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებში)	15	50	750